დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ჩირაღდანი

შეფასების თარიღ(ებ)ი : 2023 წლის 11, 12 და 13 იანვარი

დასკვნის წარდგენის თარიღი : 31 იანვარი 2023

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ჩირაღდანი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: 220340183

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**კი**
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**კი**
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**კი**
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზუგდიდი
იურიდიული მისამართი	ქ. ზუგდიდი, თავისუფლების ქ.52
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ზუგდიდი, თავისუფლების ქ.52
საფოსტო ინდექსი	2100
დაწესებულების ვებ-გვერდი	http://www.chiragdani.edu.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	fericamircxulava@gmail.com chiragdani01@gmail.com

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	577177494; 593258036
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ანდრია ქობალია
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	577177494
ელ-ფოსტა	fericamircxulava@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 28/12/2022 MES 6 22 0001669348 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 11, 12 და 13 იანვარი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლელა ფიცხელაური
წევრი (სახელი, გვარი)	ირმა ხუციშვილი

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	☒
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☐	☒
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☐	☒
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☐	☒
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☐	☒
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☐	☒
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
	1.3.	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმითა და განხორციელებული აქტივობებით არ დაუდასტურდა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით მუშაობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		მექანიზმები, რის მიხედვითაც სკოლა იმოქმედებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღების შემთხვევაში, შესაბამისობაშია მოსაყვანი 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება №16/ნ -თან ,, ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“.
	1.6	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1*	სკოლას არ აქვს გათორმებული უძრავი ქონებით სარგებლობის ხელშეკრულება, არაუმცირეს ავტორიზაციის ვადით.
	2.4.	სკოლაში არ არის შესაბამისად მოწყობილი ადაპტირებული გარემო ,რათა დაცული იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობები.
	2.6.1	სკოლას 2019 წლის 17 ივლისს მიღებული აქვს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა № 1048, კონკრეტული რეკომენდაციებით, რომლის შესრულების მაჩვენებელი და ვადები დარღვეულია. მაგალითად: დასამონტაჟებელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		სახანძრო სიგნალიზაცია, საევაკუაციო მანათობელი მანიშნებლები; ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა, ელექტრო სადენები გასაყვანია უწვი საკაბელო არხების გამოყენებით, დასამონტაჟებელია ავარიული განათება, მესამე სართულიდან მოსაწყობია საევაკუაციო გასდასვლელი, დასაგეგმი და განსახორციელებელია საევაკუაციო წვრთნები. გასათვალისწინებელია , რომ სკოლის შიდა კედლები გადატიხრულია ხის მასალით, რაც ამცირებს ცეცხლმედეგობის ხარისხს და მოითხოვს სახანძრო უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალურ დაცვას.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	***ხარვეზი არ გამოვლენილა***
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	ესგ-ის მუხლი 48-მოთხოვნის შესაბამისად სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს მინიმუმ ორ უცხოურ ენას შორის არჩევანი. ამავდროულად აწარმოოს მეორე უცხოური ენის სტატუსის მქონე შეთავაზებულ ენებს შორის არჩევანის გაკეთების ამსახველი დოკუმენტაცია, ან მეორე უცხოური ენის სტატუსის მქონე ერთი უცხოური ენის სწავლების შემთხვევაში, აღნიშნული შესაბამისი დასაბუთებით შეათანხმოს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან;
	1.2.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაიწყოს მუშაობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის იმუშაოს კომპლექსური დავალებებისა და განმავითარებელი შეფასების მიმართულებით .
	1.4	სკოლამ დაწყებით საფეხურზე გამოიყენოს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, მეტი აქცენტი გააკეთოს განმავითარებელი შეფასების ეფექტურ სტრატეგიებზე. განმავითარებელმ**ა** შეფასებამ უზრუნველყოს მოსწავლის მიერ საკუთარი შესაძლებლობების დადგენა, მიზნის განსაზღვრა და მისი მიღწევის გზების დანახვა.
	1.5.	სკოლამ გაზარდოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. წაახალისოს მშობლის ინტენსიური, მრავალმხრიივ მონაწილეობა საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებში.
	1.6	სკოლაში მოხდეს ფუნქციების დელეგირება , მკაფიოდ განისაზღვროს ვინ ვის წინაშე და რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		პერიოდულობით არის ანგარიშვალდებული. სასწავლო წლის მანძილზე სასკოლო საზოგადოების, საგნის მასწავლებლების, კლასის დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის მიერ შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების შედეგად გამოვლინდეს საჭიროებები. სკოლაში საჭიროებისამებრ ჩატარდეს მიზნობრივი კვლევები, რომლის ანალიზსაც დაეყრდნობა სამოქმედო გეგმების შემუშავება. სკოლაში მიმდინარე პროცესის კვლევა/ანალიზმა ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის წარმართვასა და მის შემდგომ გაუმჯობესებას.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	2.1.	განახლდეს შენობისმესამე სართულის აზომვითი ნახაზი.
	2.1.ბ	სკოლას მიეცა რეკომენდაცია მუდმივად იზრუნოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, რათა მოხდეს სასკოლო ინვენტარის განახლება/სრულყოფა.
	2.1.დ	სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები და უსაფრთხო გარემოში, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით ჩაატაროს სასწავლო, პრაქტიკული ცდები და ექსპერიმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2.2	იმის გათვალისწინებით , რომ ვიზიტის პერიოდში, სველ წერტილებში არ იყო არც ბუნებრივი და არც ხელოვნური განათება, სკოლას მიეცა რეკომენდაცია: საპირფარეშოებში უზრუნველყოს განათების შესაძლებლობა.
	2.3	სკოლის ბიბლიოთეკა გახდეს მეტად ფუნქციონალური. ბიბლიოთეკაში წიგნების აღრიცხვის, შენახვა-გატანისა და ტექნიკური ფუნქციების შეთავსების გარდა ბიბლიოთეკარი ჩაერთოს სასწავლო პროექტებსა და აქტივობებში, რაც მოითხოვს ღონისძიებების მასწავლებლებთან ერთობლივად დაგეგმვასა და განხორციელებას.
	2.4	სკოლამ გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობის 41-ე დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე, შექმნას სტანდარტის შესაბამისი ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2.5	სკოლამ ვებ- გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას დაიცვას პერსონალური მონაცემები. მოძველებული ინფორმაცია განაახლოს, ხელმისაწვდომი გახადოს სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები. ვებ- გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, განსაზღვროს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი ან/და გაუწიოს მონიტორინგი აღნიშნული ფუნქციის შესრულებას. სკოლა საჭიროებს გაძლიერებას ტექნოლოგიების მიმართულებით, რაც მისცემს შესაძლებლობას მოსწავლეებს და პედაგოგებს უპასუხონ 21-ე საუკუნის ციფრულ გამოწვევებს;
	2.6.	სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით გამოვლენილ ხარვეზებზე სკოლამ მოახდინოს დროული რეაგირება.
	2.6.ბ	სკოლამ განაახლოს მესამე სართულის (სხვენი) აზომვითი ნახაზი.
	2.6.გ	სკოლამ გაითვალისწინოს და იმოქმედოს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად.
	2.6.ე	სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, მოწესრიგდეს ვიდეოკამერების ადმინისტირირება. სკოლამ ბრძანებით დაამტკიცოს ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიური გამოყენებისა და ადმინისტრირების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი პირი. ასევე იზრუნოს დასუფთავების სამსახურის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობაზე შესაბამისი კადრების დასაქმებით.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.3.*	სკოლას მიეცა რეკომენდაცია: განსაზღვროს რა შემთხვევაში მიიღებს სკოლის თანამშრომელი წახალისებას.
	3.4	შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

დაწესებულების მისია	შ.პ.ს. ,,ჩირაღდანის'' მისიაა შექმნას ისეთი სასწავლო–სააღმზრდელო გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. საზოგადოებასთან შეთანხმებით აღზარდოს უსაფრთხო გარემოში ისეთი მოსწავლე, რომლის ცოდნაც იქნება მყარი და დინამიური, შეძლოს თავისი ცოდნის რეალიზაცია, დაიკავოს სათანადო ადგილი საერთაშორისო საზოგადოებაში, რათა თავისი ძალების განვითარება მოხმარდეს ჩვენი ქვეყნის განვითარებას და გაძლიერებას.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**წინა ვიზიტის პერიოდში 2017 წელს სკოლამ მიიღო რეკომენდაციები:** 1. კათედრებმა შემაჯამებლების ანალიზის დროს მეტი ყურადღება გაამახვილოს ინდივიდუალურ საჭიროებებზე და შესაბამის მიდგომებზე. **<u>რეავტორიზაციის პერიოდში 2023 წელს</u>** <u>შემაჯამებელი დავალებების ანალიზები ზოგადია , ვერ იძლევა პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის შესაძლებლობას.</u> 2. **<u>სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია მოითხოვდა შევსებას.</u>** <u>რეავტორიზაციის პერიოდში სკოლის ვებ გვერდი მოითხოვს ინფორმაციის განახლებასა და შევსებას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	**ექსპერტი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ჩირაღდანმა წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით და 2022 წლის 05 სექტემბერს დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს N 1 სხდომაზე. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებულ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის 40/ნ ბრძანებას. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე – I-XII კლასში. მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია 1-15 მოსწავლით. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც მოცემულია დაწესებულების სწავლის და სწავლების ძირითადი პრინციპები, აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ დატვირთვას, განსაზღვრავს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებას, გეგმავს სასკოლო-საგანმანათლებლო ღონისძიებებს. სკოლის დირექციის განმარტებით დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითად საკითხებს სკოლა აცნობს მოსწავლეებსა და მშობლებს (კლასის დამრიგებლის საშუალებით) არაუგვიანეს სასწავლო წლის დაწყებიდან პირველი კვირის ბოლომდე და უზრუნველყოფს ამ დოკუმენტის სრული ვერსიის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული მხარისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმა აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს სკოლის მისიას და ესგ-ის თავი 5 , მუხლი 21-ით გათვალისწინებულ სავალდებულო ერთეულებს. არჩევითი საგნებიდან ისწავლება: მე-10 კლასში - „სამედიცინო ბიოლოგია “; მე-11 კლასში - „ეკონომიკა“; მე-12 კლასში- „გარემო და მდგრადი განვითარება“. დამატებითი სავალდებულო მომსახურების სახით ისწავლება სპორტული და სამეჯლისო ცეკვები. სკოლაში მეორე უცხოურ ენად ისწავლება რუსული, რომელიც უალტერნატივოა ბოლო წლების განმავლობაში. მოსწავლეებისთვის არჩევანის საშაულების არ მიცემა წინააღმდეგობაში მოდის ესგ-ის მუხლი 48-სთან. სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია, მოსწავლეებს შესთავაზოს მინიმუმ ორ უცხოურ ენას შორის არჩევანი. ამავდროულად აწარმოოს მეორე უცხოური ენის სტატუსის მქონე შეთავაზებულ ენებს შორის არჩევანის გაკეთების ამსახველი დოკუმენტაცია, ან მეორე უცხოური ენის სტატუსის მქონე ერთი უცხოური ენის სწავლების შემთხვევაში, აღნიშნული შესაბამისი დასაბუთებით შეათანხმოს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან; სკოლის სსგ შემადგენელი ნაწილია სადამრიგებლო-სააღმზრდელო პროგრამა, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს მიზნები და ამოცანები, სადამრიგებლო პრინციპები, ძირითადი მიმართულებები, მოთხოვნები და ვალდებულებები. პროგრამა მოიცავს მოსწავლის სოციალური უნარების, აკადემიური მოსწრების, წახალისებისა და დისციპლინური დარღვევების მონიტორინგს, დამრიგებლების სამოქმედო გეგმებს, კლასის საათების ჩატარების ვალდებულებას, მშობლებთან ურთიერთობას. კლასისა და მოსწავლეთა ინდივიდუალური დახასიათების ფორმებს, ექსკურსიის დაგეგმვის პროცედურებს, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანგარიშებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კლასებში მოსწავლეთა კონტიგენტი ძირითადად მცირეა, მათთან მასწავლებლები საჭიროებიდან გამომდინარე მუშაობენ დამატებით-ინდივიდუალურად. სკოლაში საათობრივი ბადის მიხედვით ისწავლება ფიზიკური აღზრდა და სპორტი. სპორტის სახეობებად საბაზო/საშუალო საფეხურზე განსაზღვრულია: მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი და მინი ფეხბურთი. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობით, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვებით და პროცესის ანალიზის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმის ძირითად მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • ელექტრონული ჟურნალი -edu page; • პედსაბჭოს ოქმები; • ინტერვიურება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში სწავლა მიმდინარეობს სამივე საფეხურზე: დაწყებითი(I-VI კლასები); საბაზო(VII-IXკლასები); საშუალო (X-XII კლასები). სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო თემატური გეგმები და საგნობრივი მატრიცები საგნებისა და საფეხურების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სხვადასხვა საფეხურის კლასებისათვის საათობრივი დატვირთვა. განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა. შემაჯამებელი დავალებები სხვადასხვა ტიპისაა (პროექტი, პრეზენტაცია ღია და დახურულ ბოლოიანი ტესტი, თხზულება, ექსპერიმენტი) , მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ. შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. სასწავლო წლის ბოლოს დამრიგებლების მიერ კეთდება სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი კლასის დამრიგებელი, რომელიც ს/წლის დასაწყისში შეიმუშავებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში, გაკვეთილებისა და სხვა აქტივობების ჩატარების განრიგსა და პროგრამას: 8 გაკვეთილი – IX კლასში; 4 გაკვეთილი – XI კლასში. სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით ,მიეცა რეკომენდაცია დაიწყოს მუშაობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის იმუშაოს კომპლექსური დავალებებისა და განმავითარებელი შეფასების მიმართულებით .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები; • სასკოლო სასწავლო გეგმა და მისი შემადგენელი ნაწილები; • სააღმზრდელო პროგრამა და მისი შემადგენელი ნაწილები; • მასწავლებლების თემატური გეგმები; • კათედრის ზოგადი დებულება; • პედსაბჭოს სხდომის ოქმები; • კომპლექსური დავალებების ნიმუშები და რეფლექსია; • ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში კლასები ძირითადად მცირერიცხოვანია , რაც ამარტივებს მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობას. მასწავლებლები და კლასის დამრიგებლები ცდილობენ თითოულ მოსწავლეს შეუქმნან თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან სასწავლო და სააღმზრდელო მიდგომები და წესები -აღნიშნულ წესში განსაზღვრულია ის მექანიზმები, რის მიხედვითაც სკოლამ უნდა იმოქმედოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღების შემთხვევაში. სკოლაში ვიზიტის პერიოდში eschool-ის ბაზის მიხედვით ირიცხებოდა ორი (მე-3 და მე-10 კლასელი) სსსმ მოსწავლე. მე-3 კლასელი მოსწავლისთვის სკოლას ჯანმრთელობის ცნობის (ფორმა 100) -ის საფუძველზე მინიჭებული ჰქონდა სსსმ სტატუსი, რაც არ მოდიოდა შესაბამისობაში მოქმედ რეგულაციებთან. სკოლამ აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეუსაბამობა ვიზიტის პერიოდში გაასწორა. რაც შეეხება მე-10 კლასელ მოსწავლეს, ის სკოლაში მობილობის საფუძველზე იყო ჩარიცხული. მინიჭებული ჰქონდა სტატუსი მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. აღნიშნულ მოსწავლესთან სკოლა მუშაობდა სტანდარტული მიდგომებითა და პროგრამით, შესაბამისად არ იყო გათვალისწინებული მისი ინდივიდუალური საჭიროებები. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმითა და განხორციელებული აქტივობებით არ დაუდასტურდა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით მუშაობა. სკოლამ მიიღო რეკომენდაცია გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება №16/ნ და სსსმ მოსწავლეებთან იმუშაოს ,, ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ -წესის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • Eschool-ის მოსწავლეთა ბაზა; • ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში სსგ-ის შესაბამისად გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება საბაზო და საშუალო საფეხურზე, დაწყებით საფეხურზე კი განმავითარებელი შეფასება სიტყვიერი და წერილობითი კომენტარებით. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, როგორც საკლასო და საშინაო, ისე შემაჯამებელი დავალებით. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია სემესტრული, ექსტერნი და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესი; შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა თითოეულ საგანში; გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და ჩატარების ფორმები; გაკვეთილებზე მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში. საგნის მასწავლებელი პასუხისმგებელია მოსწავლეთა ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე. მოსწავლეებს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მიეწოდებათ განმსაზღვრელი შეფასებები. მოსწავლეებთან , მოსწავლეთა მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა , რომ სკოლა მოსწავლეების შედეგებთან მიმართებით საჭიროებს განმავითარებელი შეფასების ეფექტური სტრატეგიების გამოყენებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის გაცნობით, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, სტანდარტის შესაბამისი წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა რომ დაწყებით საფეხურზე „მოტივაციის ამაღლების მიზნით“ პერიოდულად ხდება მოსწავლის შეფასება ქულებით ან ღიმილებით (სტიკერებით), რაც ეწინააღმდეგება ესგ-ის განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლას <u>სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით</u> მიეცა რეკომენდაცია <u>დაწყებით საფეხურზე გამოიყენოს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, მეტი აქცენტი გააკეთოს განმავითარებელი შეფასების ეფექტურ სტრატეგიებზე. განმავითარებელი შეფასება უნდა უზრუნველყოფდეს მოსწავლის მიერ საკუთარი შესაძლებლობების დადგენას, მიზნის განსაზღვრას და მისი მიღწევის გზების დანახვას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები და შეფასების რუბრიკები; • კათედრის სხდომის ოქმები; • ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, რომელიც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. დამრიგებლის მოვალეობაში გაწერილია კავშირი სადამრიგებლო კლასის მშობლებთან, მოსწავლის გაცდენა/დაგვიანების , აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინურ გადაცდომებზე ინფორმირების მიზნით. სსგ-ის თანახმად, კლასის დამრიგებელი, თვეში ერთხელ, მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ ინფორმაციას აგროვებს და აწვდის მშობლებს სხვადასხვა ფორმით: სატელეფონო გასაუბრება; ონლაინ ჩართვა; Sms შეტყობინება; ელექტრონული ფოსტით შეტყობინება; ინდივიდუალური შეხვედრა. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი. საჭიროების შემთხვევაში, თუ კი მოსწავლეს ექმნება პრობლემა, დამრიგებელი დაუყოვნებლივ აცნობებს მშობელს საკუთარი შვილის შესახებ ინფორმაციას. მშობლებთან, პედაგოგებთან და დირექციასთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით, რაც ძირითადად გამოიხატება აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიღებით. <u>სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით</u> <u>მიეცა რეკომენდაცია: გაზარდოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. წაახალისოს მშობლის ინტენსიური, მრავალმხრიივ მონაწილეობა საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებში.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • ელექტრონული ჟურნალი; • ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან; • სკოლის ვებგვერდი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია თავი „სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და გადახედვის პროცესის“ შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის მიხედვით შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგი მუდმივად მიმდინარეობს. ხდება მონაცემთა შეგროვება მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიღწევების შესახებ, რათა აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენებოდეს სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა შედეგების ამაღლების მიზნით. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. მასში აღნიშნულია, რომ სკოლაში მუდმივად უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება, სასწავლო გეგმის და სწავლების ხარისხის შეფასება. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით ვერ დადგინდა, თუ როგორ ხორციელდება სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და შემდგომი გაუმჯობესების პროცესი. <u>სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით</u> <u>მიეცა რეკომენდაცია მოახდინოს ფუნქციების დელეგიება , მკაფიოდ</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვროს ვინ ვის წინაშე და რა პერიოდულობითაა ანგარიშვალდებული. სასწავლო წლის მანძილზე სასკოლო საზოგადოების, საგნის მასწავლებლების, კლასის დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის მიერ შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე, სასკოლო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების შედეგად გამოვლინდეს საჭიროებები. სკოლაში საჭიროებისამებრ ჩატარდეს მიზნობრივი კვლევები, რომლის ანალიზსაც დაეყრდნობა სამოქმედო გეგმების შემუშავება. სკოლაში მიმდინარე პროცესის კვლევა/ანალიზმა ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის წარმართვასა და მის შემდგომ გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან; • სსგ- შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	სკოლამ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღების შემთხვევაში, გაითავლისწინოს და იმოქმედოს 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება №16/ნ -თან ,, ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ წესის შესაბამისად.
რჩევები:	
ხარვეზები:	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმითა და განხორციელებული აქტივობებით არ დაუდასტურდა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით მუშაობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მექანიზმები, რის მიხედვითაც სკოლა იმოქმედებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღების შემთხვევაში, შესაბამისობაშია მოსაყვანი 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება №16/ნ -თან ,, ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: კვ.მ;
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ჩირაღდანი ფუნქციონირებს მისამართზე: ქ.ზუგდიდი, თავისუფლების ქ. 53; დაწესებულებაში ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერი,რომლის თანახმად დაწესებულების ფართის (დაზუსტებული საერთო ფართობი: 764 კვ.მ; შენობის ფართი: 583.9 კვ.მ) მესაკუთრეა ანდრია ქობალია, რომელთანაც <u>სკოლას გათორმებული აქვს უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება (24.02.2012წ.) **10 წლის ვადით, ანუ 2022 წლამდე.**</u> ვიზუალური დათვალიერებით ძირითადი შენობის 1 სართულზე- სპორტული დარბაზია. ასევე განთავსებულია: დაწყებითი კლასების 4 საკლასო ოთახი, ექიმის კაბინეტი (რომელიც მოეწყო ვიზიტის პერიოდში), საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (მოეწყო ვიზიტის პერიოდში) . II სართულზე განთავსებულია: 6 საკლასო ოთახი, 1 კომპ. კლასი- 6 კომპიუტერით; ადმინისტრაციის/მასწავლებლების სამუშაო სივრცე, (8.5 კვ.მ) ამავე ოთახში განთავსებულია ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ჩამწერი და მონიტორი; მესამე სართულზე (აზომვითი ნახაზის მიხედვით- სხვენი) განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ვიზიტის პერიოდში გადავიდა პირველ სართულზე); ბიბლიოთეკა, ღია სამუშაო სივრცე სააქტო დარბაზის ფუნქციონირების მიზნით; <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია: გათორმდეს უძრავი ქონებით სარგებლობის ხელშეკრულება არაუმცირეს ავტორიზაციის ვადით და შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საჯარო რეესტრის ამონაწერში;</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ფაქტობრივი მისამართი	ქ. ზუგდიდი, თავისუფლების ქ. 53.
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N 43.31.68.154
კვ.მ.	764 კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიუირება.
შეფასება	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მატერიალურად წარმოდგენილია 138 ერთეული ინდივიდუალური და 12 ერთადგილიანი სასკოლო მერხი სკამით (სულ 150), აღნიშნული სასკოლო მერხის (სკამით) ფლობა დასტურდება დოკუმენტურადაც. დაწესებულების საკლასო ოთახები ასევე აღჭურვილია დაფებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით, სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებით–პლაკატები, ქიმიური ტაბულებით, სქემებით და სხვა მატერიალური საშუალებებით, რომელთა უმეტესობა მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. <u>სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია მუდმივად იზრუნოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, რათა მოხდეს სასკოლო ინვენტარის განახლება/სრულყოფა.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო მერხების ფლობის დოკუმენტები; • სასაქონლო ზედნადებები; • საგადასახადო გადარიცხვის ქვითრებით და მიღება-ჩაბარების აქტები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის I სართულზე არსებულ 63.3 კვ.მ. ფართს დაწესებულება იყენებს სპორტულ დარბაზად, რომელშიც განთავსებულია: 1 ჩოგბურთის მაგიდა, ტაიჭი, ორძელი, ცხენი; წარმოდგენილია სხვადასხვა სპორტული ინვენტარი: ბურთები, ლახტი, სავარჯიშო ლეიბები, რგოლები, ხელბურთის ბადე და სხვ. დარბაზი აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. ვიზიტის პერიოდში მოეწყო სპორტული დარბაზის გასახდელები , როგორც გოგონებისთვის ისე ვაჟებისთვის. სკოლას არ აქვს ღია ტიპის სპორტული მოედანი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სპორტული ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, რომელიც განთავსებული იყო დაწესებულების მე-3 სართულზე, სხვენში, არ იყო სველი წერტილი და ნიჟარა. უსაფრთხოების მიზნით დასამონტაჟებელი იყო ამწოვი კარადა, ან გამწოვი ვენტილაცია. არ იყო ქიმიური რეაქტივებისთვის დაცული საცავი , ასევე ლაბორატორიული ცდებისა და რეაქციებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წყალგაუმტარი და სადეზინფექციო საშუალებების, მუავების, ტუტეების, ორგანული გამხსნელებისა და ზომიერად გაცხელების მიმართ მდგრადი ზედაპირის მქონე სადემონსტარციო მაგიდა. შესაბამისად ლაბორატორიაში შეფერხებული და საფრთხის შემცველი იყო სასწავლო ექსპერიმენტებისა და ცდების ჩატარება. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განათავსა შენობის პირველ სართულზე, დაამონტაჟა გამწოვი მოწყობილობა და სველი წერტილი. სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები და უსაფრთხო გარემოში, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით ჩაატაროს სასწავლო, პრაქტიკული ცდები და ექსპერიმენტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგადასახადო დავალება ლაბორატორიის აღჭურვილობის შეძენის შესახებ; • ვიზუალური დათავლიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულება უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი სისტემით. ცენტრალური გათბობის სისტემა მოიცავს სკოლის არასრულ ფართს, საკლასო ოთახების ნაწილში, ცენტარალური გათბობის არარსებობის გამო სკოლა იყენებს ელ. ღუმელებს. სკოლას მიეწოდება სასმელი წყალი, დერეფანში დგას სასმელი წყლის დისპენსერი. ასევე აქვს ჭა და სასმელი წყლის რეზერვუარი. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, თუმცა 3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საკლასო ოთახში არასაკმარისი ბუნებრივი განათების გამო ვიზიტის პერიოდში დამონტაჟდა დამატებითი დღის განათების ნათურა. სველი წერტილები განლაგებულია სკოლის ეზოში, 2 სველი წერტილი გოგონებისთვის , 2 ვაჟებისთვის და ერთი ადაპტირებული (მოპირკეთება და სტანდარტის შესაბამისად მოწყობა მიმდინარეობდა ვიზიტის პერიოდში). სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, თუმცა არ არის არც ბუნებრივი და არც ხელოვნური განათება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია საპირფარეშოებში უზრუნველყოს განათების შესაძლებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის/გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები; • კომუნალური გადახდის ქვითრები; • ვიზუალური დათავლიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ბიბლიოთეკა შენობის მესამე სართულზე , სხვენშია განთავსებული, ბიბლიოთეკის შესასვლელში გამოკრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, თაროებზე თემატურად დალაგებულია წიგნები, მათ შორის სსგ გათვალისწინებული გრიფირებული სახელმძღვანელოები დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით. სკოლის წიგნადი ფონდი შეადგენს 2701 ერთეულ წიგნს, ბიბლიოთეკის სივრცეში გამოყოფილია ბიბლიოთეკარის სამუშაო ადგილი, სამკითხველო მაგიდა სკამებით. სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია, ბიბლიოთეკა გახდეს მეტად ფუნქციონალური. ბიბლიოთეკაში წიგნების აღრიცხვის, შენახვა-გატანისა და ტექნიკური ფუნქციების შეთავსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გარდა ბიბლიოთეკარი ჩაერთოს სასწავლო პროექტებსა და აქტივობებში, რაც მოითხოვს ლონისძიებების მასწავლებლებთან ერთობლივად დაგეგმვასა და განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკის დებულება; • ბიბლიოთეკართან დადებული ხელშკრულება; • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები: მიღება-ჩაბარების აქტი , შესყიდვის დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ადაპტირებული გარემოს უზრუნველსაყოფად, დაწესებულების შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. მეორე სართულზე მოხვედრა და გადაადგილება შესაძლებელია , როგორც შენობის შიდა კიბით, ასევე ეზოდან, გარე კიბით. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით გარე კიბეზე მოწყობული იყო ხის პანდუსები, რომლებიც ვიზიტის პერიოდში გამოსული იყო მწყობრიდან. სკოლის ეზოში ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ერთი ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სასკოლო სივრცე არ არის მორგებული ეტლით მოსარგებლე პირებისათვის, ისე რომ მათ თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი სკოლის ყველა მნიშვნელოვან ობიექტზე. მაგ ბიბლიოთეკა, ისტ. ლაბორატორია, სპორტული დარბაზი და სხვ. სკოლის მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობის 41-ე დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე, შექმნას სტანდარტის შესაბამისი ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კერძოდ: ➢ სკოლის ვებ–გვერდი: **http://www.chiragdani.edu.ge/** ➢ ელექტრონული ფოსტა **chiragdani01@gmail.com** ➢ სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა და ელექტრონული ჟურნალი **„EduPage“;** ➢ ინტერნეტქსელში ჩართული **ჯამში სულ 8 კომპიუტერი,** აქედან 6 კომპიუტერი განთავსებულია ისტ ლაბორატორიაში, 1 კომპიუტერი(ლეპტოპი) მოძრავია , ადმინისტრაციის და სამასწავლებლო ოთახში 1კომპიუტერია. DSL ინტერნეტ მომსახურებას ანხორციელებს კომპანია სს „სილქნეტი“. წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტი. სკოლის ვებ- გვერდზე დატანილია შემდეგი ინფორმაცია: განცხადებების დაფა,ინფორმაცია სკოლის დამფუძნებლებისა და მასწავლებლების შესახებ, სკოლის მოსწავლეთა სახელობითი სიები,სკოლის წესდება, ღონისძიებათა ამსახველი ფოტო მასალა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია ვებ- გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას დაიცვას პერსონალური მონაცემები. მოძველებული ინფორმაცია განაახლოს, ხელმისაწვდომი გახადოს სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები. ვებ- გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, განსაზღვროს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი ან/და გაუწიოს მონიტორინგი აღნიშნული ფუნქციის შესრულებას. სკოლა საჭიროებს გაძლიერებას ტექნოლოგიების მიმართულებით, რაც მისცემს შესაძლებლობას მოსწავლეებს და პედაგოგებს უპასუხონ 21-ე საუკუნის ციფრულ გამოწვევებს;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მომსახურების ხელშეკრულება დომენის და ჰოსტის ფლობის შესახებ; • ნასყიდობის ხელშეკრულაბა ელექტრონული ჟურნალის ერწლიანი ლიცენზიის შესახებ; • კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები: სასაქონლო ზედნადები; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ტერიტორიაზე არსებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით განთავსებულია გადამუხტული 5 ცეცხლმაქრი, შესაბამისი საინფორმაციო პოსტერებით, თვალსაჩინოა გადაუდებელი შემთხვევების დროს აუცილებელი საკომუნიკაციო არხების მონაცემები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას 2019 წლის 17 ივლისს მიღებული აქვს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა № 1048, კონკრეტული რეკომენდაციებით, რომლის შესრულების მაჩვენებელი და ვადები დარღვეულია. მაგალითად: დასამონტაჟებელია სახანძრო სიგნალიზაცია, საევაკუაციო მანათობელი მანიშნებლები; ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა, ელექტრო სადენები გასაყვანია უწვი საკაბელო არხების გამოყენებით, დასამონტაჟებელია ავარიული განათება, მესამე სართულიდან მოსაწყობია საევაკუაციო გასდასვლელი, დასაგეგმი და განსახორციელებელია საევაკუაციო წვრთნები. გასათვალისწინებელია , რომ სკოლის შიდა კედლები გადატიხრულია ხის მასალით, რაც ამცირებს ცეცხლმედეგობის ხარისხს და მოითხოვს სახანძრო უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალურ დაცვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა №1048; • ცეცხლმაქრების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები; • ცეცხლმაქრების გადამუხტვის დამადასტურებელი დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე გამოკრულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები. სკოლის სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით აზომვითი ნახაზის შეუსაბამობის გამო, სკოლას მიეცა რეკომენდაცია შენობის ახალი საევაკუაციო გეგმების მიხედვით , განაახლოს მესამე სართულის (სხვენი) აზომვითი ნახაზი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საევაკუაციო გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<u>იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის სამედიცინო კაბინეტი არ შეესაბამებოდა</u> ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნებს, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში სამედიცინო კაბინეტი განათავსა სკოლის პირველ სართულზე და მოაწყო კანონმდებლობის შესაბამისად. კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით. სკოლაში სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს ბიოლოგიის მასწავლებელი, რომელსაც შეთავსებული აქვს ექთნის ფუნქცია. აღნიშნულ პედაგოგს აქვს ექიმის დიპლომი, თუმცა არა მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრული პედიატრის, საოჯახო მედიცინის ან ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრის კვალიფიკაცია. სკოლას დამტკიცებული აქვს ,,პანდემიის პირობებში ინფექციური დაავადებებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა“; COVID-19-სგან დაცვის ღონისძიებების დაგეგმვის და მათი ეფექტური განხორციელების მიზნით შექმნილია და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა“. <u>სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს და იმოქმედოს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება სამედიცინო პერსონალთან; • ,,პანდემიის პირობებში ინფექციური დაავადებებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა“; • ,, COVID-19-სგან დაცვის მიზნით საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა“; • ვიზუალური დათვალიერება; • გასაუბრება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს შემუშავებული და შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის საკუთარი წესი , მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესახებ თანახმად. სკოლაში უსაფრთხოების მიზნით, განსაზღვრულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა დასუფთავებასა და დაცვის სამსახურში დასაქმებული ადამიანური რესურსი. აღნიშნულ პოზიციებს ითავსებდნენ დამფუძნებელი და დირექტორი. ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები ინახებოდა სივრცეში სადაც ერთად იმყოფებიან სკოლის მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, მიეცა რეკომენდაცია სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, მოაწესრიგოს ვიდეოკამერების ადმინისტირირება. ბრძანებით დაამტკიცოს ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიური გამოყენებისა და ადმინისტრირების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი პირი. ასევე იზრუნოს დასუფთავების სამსახურის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობაზე შესაბამისი კადრების დასაქმებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესი; • მორიგეობის გრაფიკი; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა პერიმეტრზე (დერეფნებში) დამონტაჟებულია 5 ,ხოლო სკოლის გარე პერიმეტრზე ჯამში 5 ვიდეომეთვალყურეობის კამერა , რომლებიც შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ვიდეო კამერების გამოსახულების მონიტორინგი და ჩაწერა ხორციელდება სკოლის დამფუძნებლის მიერ სამასწავლებლოს ოთახში. სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, მოწესრიგდეს ვიდეოკამერების ადმინისტირირება, დაწესებულებამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღნიშნული საკითხი დაარეგულიროს შესაბამისი წესით და ბრძანებით განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი/პირები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეოკამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; • სასაქონლო ზედნადებები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ჩირაღდანს შემუშავებული აქვს გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები, წესდებისა და შინაგანაწესის სახით. წესდება დამტკიცებულია პარტნიორთა კრების მიერ 2022 წლის 22 ოქტომბერს. წესდებით განისაზღვრება საზოგადოების სახელწოდება, მისამართი და სტატუსი, საზოგადოების წევრები, საზოგადოების საქმიანობის საგანი, საზოგადოების მართვა, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, უფლება-მოვალეობა, შედეგების განაწილება და ა.შ. შინაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N30 ბრძანებით (05.09.2022წ) და შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვა, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები და მათი ფუნქციები, მოსწავლეთა და თანამშრომელთა ქცევის/ეთიკის ნორმები, მასწავლებელთა, მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები. ტექნიკური ხასიათის უზუსტობებთან დაკავშირებით სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის დროს შინაგანაწესში შეიტანა ცვლილებები. შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესის მეათე მუხლში გაწერილია წახალისების სახეები; მადლობის გამოცხადება, პრემიის გაცემა, მაგრამ არ არის გაწერილი რა შემთხვევაში მიიღებს სკოლის თანამშრომელი წახალისებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ჩირაღდნის სკოლის დირექტორის ბრძანება N30 (2022წლის 05 სექტემბრის) შესაბამისად დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი; • შპს ჩირაღდნის წესდება; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ გარემოს კვლევისა და შესწავლის, ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრის საფუძველზე, შეაფასა საჭიროებები, რაზე დაყრდნობით განსაზღვრა ექვსწლიანი სტრატეგია (2022-2028 წ.) და შეიმუშავა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023 წ.). შპს ჩირაღდნის ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N37 ბრძანებით (05.09.2022წ)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სტრატეგიული გეგმის მიხედვით სკოლა შემდეგი ძირითადი მიმართულებით გეგმავს თავის საქმიანობას: 1. სკოლის დაფინანსება და ბიუჯეტის ფორმირება 2. სკოლის მატერიალურ- ტექნიკური ბაზის განვითარება. 3. სასკოლო დისციპლინის უზრუნველყოფა, სკოლისა და ოჯახის ურთიერთობა. 4. სკოლის საკადრო პოტენციალის განვითარება. 5. სკოლის მოსწავლეთა ინტელექტუალური, ფიზიკური და შემოქმედებითი განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნა. 6. სასწავლო შემოქმედებითი ღონისძიებები. 7. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო. 8. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. 9. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა. 10. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. 2022-2023 წ. სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N36 ბრძანებით (05.09.2022 წ.) გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. დაგეგმილი აქტივობები ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, ასევე მატერიალური რესურსების გამოყენებას და გაუმჯობესებას. გეგმა გაწერილია კონკრეტულ დროში, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის მითითებით. სკოლის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულია სკოლის მიზანი და ამოცანები, საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა და მისი ფუნქციონირების ხარისხის შეფასება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, უსაფრთხო, ორგანიზებული, დისციპლინირებული გარემოს შექმნა, სკოლაში არსებული ადამიანური რესურსების შესაბამისობაში მოყვანა სკოლის მიზნების მისაღწევად, მშობელთა ჩართულობის გაზრდა და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ჩირაღდანის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; (დამტკიცებული 05.09.2022წ. ბრძანება N36) • შპს ჩირაღდანის ექვსწლიანი 2022-2028 წ. გეგმა (დამტკიცებული 05.09.2022 N 37 ბრძანებით);
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა ხორციელდება დირექტორის N48 ბრძანებით(01.12.2021წ) საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ შესაბამისად. დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით არსებობს: • დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, • შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი, • საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, • შრომითი ხელშეკრულებების და პედაგოგიური საბჭოს ოქმების აღრიცხვის ჟურნალები. • მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლაში ნაწარმოები ყველა დოკუმენტი ინახება არქივში, სადაც უვადოდაა დაცული. ყველა ჟურნალი დანომრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით. დაწესებულების აქტები და წერილები სკოლის ბლანკზეა გაფორმებული, რაზეც მითითებულია სკოლის დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების წესი (დირექტორის ბრძანება N48 01.12.2021წ); • საქმისწარმოების ჟურნალების ვიზუალური დათვალიერება; • გასაუბრება დირექტორთან;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	➢ გაფორმდეს უძრავი ქონებით სარგებლობის ხელშეკრულება არაუმცირეს ავტორიზაციის ვადით და შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საჯარო რეესტრის ამონაწერში; ➢ სკოლამ გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობის 41-ე დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე, შექმნას სტანდარტის შესაბამისი ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. ➢ სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით გამოვლენილ ხარვეზებზე სკოლამ მოახდინოს დროული რეაგირება.
რჩევები:	
ხარვეზები:	➢ სკოლას არ აქვს გაფორმებული უძრავი ქონებით სარგებლობის ხელშეკრულება არაუმცირეს ავტორიზაციის ვადით. ➢ სკოლაში არ არის შესაბამისად მოწყობილი ადაპტირებული გარემო ,რათა დაცული იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობები. ➢ სკოლას 2019 წლის 17 ივლისს მიღებული აქვს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა № 1048, კონკრეტული რეკომენდაციებით, რომლის შესრულების მაჩვენებელი და ვადები დარღვეულია. მაგალითად: დასამონტაჟებელია სახანძრო სიგნალიზაცია, საევაკუაციო მანათობელი მანიშნებლები; ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა, ელექტრო სადენები გასაყვანია უწვი საკაბელო არხების გამოყენებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დასამონტაჟებელია ავარიული განათება, მესამე სართულიდან მოსაწყობია საევაკუაციო გასავლელი, დასაგეგმი და განსახორციელებელია საევაკუაციო წვრთნები. გასათვალისწინებელია , რომ სკოლის შიდა კედლები გადატიხრულია ხის მასალით, რაც ამცირებს ცეცხლმედეგობის ხარისხს და მოითხოვს სახანძრო უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალურ დაცვას.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მართვის საინფორმაციო სისტემის თანახმად, სკოლაში დასაქმებულია 15 მასწავლებელი, მათგან 2 მასწავლებელს წამყვანის სტატუსი აქვს, 11-უფროსის სტატუსი, ხოლო 2 მასწავლებელი არის უსტატუსო. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლის საშტატო განრიგის შესაბამისად, სკოლას ჰყავს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექთანი, ბიბლიოთეკარი. როგორც სასწავლო, ასევე ხშირ შემთხვევაში ტექნიკური ხასიათის მომსახურება შეთავსებული აქვთ სკოლის დამფუძნებლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას მიეცა რჩევა იზრუნოს ფუნქცია-მოვალეობების გონივრულ გადანაწილებაზე, მოიზიდოს და დაასაქმოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • Eschool-ის ბაზა; • 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადე; • საშტატო განრიგი;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	15
უსტატუსო მასწავლებლი	2
მოწვეული/მაძიებელი	0
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
უფროსი მასწავლებლი	11
წამყვანი მასწავლებლი	2
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეულები არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას აქვს შემუშავებული მასწავლებელთა მიღების წესი, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებას. ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამადასტურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტაცია. აგრეთვე ცნობები ,,ნასამართლეობისა'' და ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის''.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • მართვის საინფორმაციო სისტემის eschool ბაზის მონაცემები; • საშტატო განრიგი;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესებს არეგულირებს სკოლის დირექტორის ბრძანება N33 (02.09.2020წ.) ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ წესით განსაზღვრულია კონკურსის მიზანი, პრინციპები, ჩატარების წესი, კომისიის საქმიანობა, კონკურსის ეტაპები, პროცედურები, კონკურსის ჩაშლის საფუძვლები და საპრეტენზიო კომისიის საქმიანობა. შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შინაგანაწესით განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებების შეწტყვეტისა და საბოლოო ანგარისწორების წესები და პირობები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,, საქართველოს შრომის კოდექსის'' 48-ე მუხლთან. შინაგანაწესის მეათე მუხლი არეგულირებს თანამშრომელთა წახალისების ფორმებს, მათ შორის მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, პრემიის გაცემა, მაგრამ <u>არაა გაწერილი რა შემთხვევებში მიიღებენ თანამშრომლები კონკრეტულ წახალისებას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შინაგანაწესის მეცამეტე მუხლი განსაზღვრავს შრომის დისციპლინის დარღვევის წესს, სადაც აღწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებული რეგულაციები, განსაზღვრულია დასაქმებულის მიერ დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული სახდელების პასუხისმგებლობის სახეები, რა შემთხვევაშია შესაძლებელი თითოეული სახდელის გამოყენება. სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია: განსაზღვროს რა შემთხვევაში მიიღებს სკოლის თანამშრომელი წახალისებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ჩირაღდნის შინაგანაწესი; • ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი (დირექტორის ბრძანება N33 02.09.2020წ.) • დირექტორთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან და მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების შინაარს წარმოადგენს ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა. ხელშეკრულებები დანომრილია და აღრიცხულია სარეგისტრაციო ჟურნალში. შრომით ხელშეკრულებაში არ არის მითითებული შრომის ანაზღაურების ოდენობა, რასთან დაკავშირებითაც სკოლამ სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიიღო რეკომენდაცია: შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • პირადი საქმეები; • სკოლის შინაგანაწესი:
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ჩირაღდნის სკოლის დირექტორის ბრძანებით N50 01.12.2021წ. დამტკიცებულია ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. დოკუმენტი არეგულირებს სამოქმედო პრინციპებს, მიზნებს, წევრთა მოვალეობებს, საქმიანობას, მასწავლებელთა შეფასებასა და პროფესიულ განვითარებას. ასევე, სკოლის დირექტორის N41 ბრძანებით (01.12.2021წ.) დამტკიცებულია შპს ჩირაღდნის ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები. ბრძანებით განისაზღვრება სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და პროგრამებში. მასწავლებლები აქტიურად იღებენ მონაწილეობას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სავალდებულო ტრენინგებში. ასევე, დირექტორის მოადგილის ფუნქციებით გაწერილია, რომ ის უზრუნველყოფს პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების ორგანიზებას (კოლეგებთან შეხვედრებს, ტრენინგებს, კონფერენციებს) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, წარმატების წინაპირობათა განსაზღვრას და პრობლემების გზების ძიებას. დირექტორის მოადგილის ვალდებულებაა ხელი შეუწყოს პედაგოგთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროფესიულ განვითარებას- თვითშეფასებას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას, რეკომენდაციების შემუშავებას, გაეცნოს პედაგოგთა პროფესიული განვითარების რეალურ მდგომარეობას, დაადგინოს საჭიროებები და ამის შესაბამისად დაგეგმოს მათი განვითარებისთვის საჭირო აქტივობები. თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა დირექტორის მოადგილის ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. რაც შეეხება სკოლის სხვა თანამშრომლებს, მათი პროფესიული განვითარების რაიმე სახის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლას არ აქვს. სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რჩევა არა მხოლოდ მასწავლებლებისთვის, არამედ სკოლის ადამიანური რესურსისთვის შეიმუშაონ პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები დირექტორის ბრძანება N 41. 01.12.2021წ.; • ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N50 01.12.2021წ.; • გასაუბრება მასწავლებლებთან და დირექტორთან;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ავტორიზაციის ვიზიტის დროს ინტერვიუირებისას მასწავლებლები და ადმინისტრაცია აღნიშნავდა, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მშობლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლა მაქსიმალურად ზრუნავს თანამშრომლობითი გარემოს შესაქმნელად. მათ გამოთქვეს კმაყოფილება სკოლის მომსახურების შესახებ. განსაკუთრებით აღინიშნა მოსწავლეებს და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულების შესახებ. მშობლების მოსაზრებით, სკოლა ორიენტირებულია სწავლა-აღზრდისთვის საჭირო გარემოს შექმნაზე. ყველა თანამშრომელსა და მოსწავლეს შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი. სკოლამ ვერ წარმოადგინა არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. <u>სკოლას მიეცა რჩევა: სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენის, პასუხისმგებლობის გადანაწილების მიზნით წაახალისოს და მეტად შეუწყოს ხელი სკოლაში არაფორმალურ განათლებას, არჩევითი ორგანოების: თვითმმართველობის, კლუბების, საინიციატივო ჯგუფების და სხვ. დაარსება/ფუნქციონირებას.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასაუბრება მოსწავლეებთან, მშობლებთან, პედაგოგებთან; • სკოლის ვებ-გვერდი;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	სკოლას მიეცა რჩევა იზრუნოს ფუნქცია-მოვალეობების გონივრულ გადანაწილებაზე, მოიზიდოს და დაასაქმოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები. სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რჩევა არა მხოლოდ მასწავლებლებისთვის, არამედ სკოლის ადამიანური რესურსისთვის შეიმუშაონ პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენის, პასუხისმგებლობის გადანაწილების მიზნით წაახალისოს და მეტად შეუწყოს ხელი სკოლაში არაფორმალურ განათლებას, არჩევითი ორგანოების: თვითმმართველობის, კლუბების, საინიციატივო ჯგუფების და სხვ. დაარსება/ფუნქციონირებას.
ხარვეზები:	-
სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

(შევსების ადგილი) ქ.თბილისი
თარიღი 31.01.2023
გვერდების რაოდენობა 54 გვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.